

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 73¹ მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) რომელთაც თანაბარი რაოდენობის ქალი და მამაკაცი კანდიდატები ჰყავთ წარდგენილი საარჩევნო სიის პირველ 75 კანდიდატთა შორის (თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 2%-ს).“

2. 73¹ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომელთაც თანაბარი რაოდენობის ქალი და მამაკაცი კანდიდატები ჰყავთ წარდგენილი საარჩევნო სიის პირველ 75 კანდიდატთა შორის (თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 2%-ს) მიეცემათ დამატებითი უფასო წინასაარჩევნო სარეკლამო საეთერო დრო საზოგადოებრივ მაუწყებელზე, უკვე განსაზღვრული დროის 1/4-ის ხანგრძლივობით“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი